

დროშა

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპიკი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზეც.
თუ საქირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპიკი.

დროშის რედაქცია — სიმონისონის ქუჩაზე, ნაზარეთის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
წელიწადში მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის-მალაზიაში. გარე ქვემოკრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОША“.
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ.; 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ.; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

„დროშის“ ფასი პირველის მაისი-დამწლის დამლევამდე 7 მანათი.

შინაური ძროხისა
— მოახლოვდა მაისი და დადგა საზოგადო კრების დროც. 6 მაისს იქნება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრება ერთის დირექტორის, ორის დამფასებლის და ზედამხედველის კომიტეტის ზოგიერთა წევრების ამოსარჩევად და აგრეთვე სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად, რომლებზედაც თავის დროზე მოვილაპარაკებთ.
5 მაისს იქნება იმ საქველმოქმედო საზოგადოებისა, რომელსაც უმთავრესად მინდობილი აქვს სათავადაზნაურო სკოლის გამგეობა. ამ კრებაზედ განიხილება, როგორც წარსული წლის ანგარიში, ისე მდგომარე წლის ბიუჯეტიც. სხვათა შორის, ამ კრებაზედ იქნება მოლაპარაკება სკოლასთან მესამე კლასის გახსნაზედ. მაისისავე

დამღვეს იქნება კრება «წერა-კითხვის საზოგადოებისა». მართს სიტყვით, მაისის დამღვეს ჩვენს საზოგადო ცხოვრების კოტაოდენი ვაცხოველება მოვლის.
— პარასკევს წარმოადგინეს არწრუნის თეატრში ბ. ცაგარლის პიესები: ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“ და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი «ოინზანი». საზოგადოებას თითქო მოსწურობდა რიგიანი არტისტების ნახვა სცენაზე და დიდს სიამოვნებით გაატარა მთელი საღამო.
ბ. ცაგარლის პიესები საზოგადოდ საყვანი არიან სახალხო წარმოდგენებში, რომელნიც, თუმცა ხშირად ზდილობიანობის ზომას გადადიან, მაგრამ მათ ყოველთვის ეტყობათ ხალხური ოხუნჯობა და მარილიანო-

ბა. თითქმის ყოველი ჭრაზა ჩვენის არტისტებისა განუწყვეტელს სიცილს იწვევდა ხალხში. სამწუხაროდ, ჯერ ჩვენს სათეატრო დასს კიდევ არ ეტყობა, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყოს და ერთობა დამყარებულიყოს მათ შორის. ამითი აიხსნება, რომ პარასკევს წარმოადგენაზედ პირველი არტისტები იძულებულნი შეიქმნენ ორსა და სამს როლში გამოსულიყვნენ, რაც ყოველთვის ამცირებს მათს ღირსებასაცა და ნიჭსაცა. ამითივე აიხსნება, რომ უბრალო როლებების მეტად ბევრი «სცენის მოყვარების» მიწვევა დასჭირებოდათ.
— ამ დღეებში გამოვა ერთ ტომად სრულნი თხზულებანი თ. გ. შრისთავისა. მეტად შესანიშნავია თურმე წინასიტყვაობა ამ წიგნისა, რომელიც ბევრს საყურადღებოს მოგვითხრობს ავტორის ცხოვრებიდან და ახლის აგრეთვე ერთს კუთხეს იმ ფარდისას, რომელიც გადაჰფარებია ოცდაათ წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდლად ამბებს.

— ჩვენ შევიტყუეთ, რომ ხვალ, აპრილის 22, ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს ის პირობანი, რომელთაც აღგენს ქალაქის გამგეობა შესახებ ცხენის რკინი-გზისა. ეს კითხვა იმდენად მნიშვნელობიანია, რომ ჩვენ ვსარგებლობთ დროთი და გვენდა გამოვსთქვათ ორიოდ შენიშვნა ამის შესახებ,
შველგან, სადაც კი შემოულიათ ასეთი გზა, მუდამ მხედველობაში ჰქონიათ, რომ იგი წარითმენს პირიდან ლუკმა-პურს იმ საცოდავ ხალხსა, რომელნიც ცხოვრობენ თავიანთ ჭაფიტანებითა და «დროკებითა». ამ ხალხის უეჭველი გაღარიბება და ცარიელზე დასმა კარგად იცის ყოველმა ქალაქის გამგეობამ თუ თვით-მმართველობამ. იმათ ისიც იციან, რომ მათი სიღარიბე ძნელია თითონ ქალაქის ცხოვრებისთვისაც და საქალაქო შემოსავლისთვისაც. ამიტომ, როდესაც რომელიმე ქალაქი ყაბულსა ხდება და აძლევს „კონკის“ გაყვანის ნებას, მუდამ სახეში აქვს, რომ ასეთი გაღარი-

«დროშის» ქელტონი 22 აპრილი.

ბანძო ძემოპილს.
მოდო, ძმაო, მიესდგეთ შრომას, ძმურად ხელ-გადახვეული, წიხლი დევრათ სულსუტობას, რისაც ვიყავით ჩვეული.
ჩვენს სამშობლოს ნიადაგზედ, ღრავა ვსთესოთ წმინდა თესლი — ძელებით სწულ, სისხლით მორ-
და ვით ვანათა წესია, —
ბამოვმარგლოთ შიგ ბალახი,
და რაც წმინდად ნათესია, —
მოვავლიჯოთ შევ-ბალახი.
მაგრამ, ოჰ! შენი სურათი, რომელიც გულზედ მესვენა, შეტრად ბანქოდ ქცეული, თვალ-სრემლიანს მომეჩვენა.
შვეფურთხე ბანქოდ ქცეულს, არ მინდოდა შენს მაგივრად; ამხანაგის ბანქოობა მულში მცვა ლახვარ-გმირად.
1884 წ.
საბრალო ტასო.
(სურათი ბატონ-ყობას ცხოვრებიდან)
რუსულიდან ვაღმოკეთებული.
(შემდგები*)
დაბრუნდენ თუ არა შინა, ტასომ მოამხადებინა მასილისთვის და წიკ-
(*) იხილე „დროშა“ № 86.

ლაურისთვის ვახშამი, ბოდში მოიხადა წიკლაურთან, რადგან დალაღულობის გამო აღარ შეეძლო, გამოეთხოვა და წავიდა თავის ოთახში.
მთელი საღამო იმ წამიდგან, რაც გაიგონა წრფელადის სახელი, მისი სახე არ შორდებოდა ტასოს, თვალ-წინ თითქო ბურუსში ეხატებოდა. როდესაც მარტო დარჩა, ბურუსი გაიფანტა და უწინდელი სიყვარული, წმინდა, კემაროტი, პირველი და უკანასკნელი გავლენა ტასოს მკვდარ გულში და პენტო, გაბრწყინვალდა იგი, როგორც მაისის სხივოსანი მზე-
— როგორღა უნდა ვიცოცხლო? — სველიანად ამბობდა იგი და შიშით თრთოდა. ჩემი პრჩილი, პირველი საგანი ჩემის გულისა, ჩემის მიზეზით დატანჯული!
სწორედ რომ «დატანჯული!» მოაგონდა ტასოს იგი, როგორც მოკრძალებით, ხვეწნით, ტირილით უცხადებდა სიყვარულს და სთხოვდა შებრალვებს.
ტასომ გალო ფანჯარა და გადაჰყო წმინდა ჰაერზედ ფიქრებით დალაღული თავი.
მთვარის შუქზედ გარკვევით გაიჩვიდა მშვენიერო ჰანგზედ ამნებულს, ორ-სართულიანი სახლი ნემსაძისა, წინ ლამაზი ბაღით შემკობილი. მთელი სახლი თილისმით ჩაძინებულს ჰგვანდა, არავითარი ხმაურობა არ არღვევდა ამ საიდუმლო სიჩუმეს.
— თუმცა ეს ამოდენა სიმდიდრე ჩემი არის, მაგრამ სულ ამაოა, სულ! პრჩილიც რომ ჩემი ყოფილიყო ამ სიმდიდრესთან, მაშინ სხვა იქნებოდა.

შეკრად მასში გაიღვიძა სიბოროტემ და სიმძულვარემ.
„რას დავღონებულვარ, ნეტა? მსრედ მწარედ რას დავღრევილვარ? — სთქვა ფიქრისაგან გამორკვეულმა ტასომ. — რად მაგონდება წარსული? რა ოცნებას მივეც ჩემი თავი? რად ვტანჯავ ჩემს საბრალო გულს უიმედო სიყვარულით? რა ვნახე მათში კეთილი? მე იმათ გამაუბედურეს, მთელი ჩემი სიცოცხლე ჩამიმწარეს და პრჩილი — მათი ნაშობი არ არის? ვუყვარდი? ვითომ? რასში სჩანს მისი სიყვარული? თუ ვუყვარდი, რატომ არ დამენმარა, როდესაც ერთს ოხერს მელიორზედ ჯვარსა მწერდენ? ხომ იცოდა, მე თითონ მიგწერე მას და პასუხიც არ მაღირსა. აი, ნებიერიძეს მართლა ჰქმნა მართლად ვუყვარვარ: ჯვარს დავიწერო, ვინც რა უნდა სთქვასო. მხოლოდ მე... მე არ ვნდომობ იმის სიყვარულს.“
იგი კიდევ ჩაფიქრდა და რამდენიმე წამის შემდეგ გაჯავრებული წამოხტა ფანჯარიდან.
«დასწყველოს ღმერთმა! თუმცა ბევრს ვცდილობ, მაგრამ მაინც არ მშორდებიან მასზედ ფიქრები. ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო, რა უნდა ჰქენა?! უნდა ვნახო იგი, დავტანჯო, კოლს გავყარო და მერე დავცინო, როგორც მისი მშობელი მე დამცინოდა.»
უხიზლად, თუ ძილში ტასო სულ ამას იმეორებდა: «უნდა ვნახო იგი, მხოლოდ შურის-ძიების სურვილისგამო მინდა მისი ნახვა, — ჰფიქრობდა ტასო და ატყუებდა თავის თავს. რა

საქმენდაც უნდა მდგარიყო, ვისთანაც უნდა ელაპარაკნა, — პრჩილ მის წინ იდგა წვალეული, „დატანჯული“, ალერსიანი და მთელი ქვეყანა ტასოსთვის შეიცავდა სამს ძლიერს სიტყვას: «უნდა ვნახო იგი».
საწყალმა ნემსადემ კი არ იცოდა ესა და ბედნიერად სთვლიდა თავის თავს. ხუთი წელიწადი იქნებოდა, რაც ტასო მასთან სცხოვრობდა და ისევ გაგიჟებით უყვარდა იგი.
— აი, რა გითხრა, მასილ! — უთხრა ტასომ წვეულობის მეორე დღეს, — შენ ეხლა ყმაწვილი აღარა ხარ: ავერ სამოცი წელიწადი შევისრულდება. რაც სცოდე, კმარა; აწ დრო არის მოინანიო ცოდვანი და ბინა მოიმზადო სამოთხეში. მეც დაგენმარები და პირველშივე გირჩევ ჩემთან მეგობრულ ცხოვრებას თავი დაანებო და მამამილიური ცხოვრება დაიწყო. თუ თანახმა არ გახდები, მაშინ მე იძულებული ვიქნები წავიდე შენგან და მოგშორდე საუკუნოდ.
— ტასო! — მოკრძალებით უთხრა მოხუცმა, — იქნება შენ შეგიყვარდა ვინმე?
ტასო გაწითლდა.
— შევეყვარებით არავინ შემყვარებია, — გულწრფელად სთქვა ტასომ, — და... თუ გინდა მართალი შეიტყო, — ძველი მომიბრუნდა. იცი, გუშინ შენ რომ ბაღში შემოიპატივე, ჩემი ბატონის-შვილი იყო, რომლის მამა... მე... მოკვალ.
ოჰ, რა ძნელი იყო ტასოსთვის უკანასკნელი სიტყვის გამოთქმა!... სტყუი!.. შესაძლებელი არ არის! დაიყვირა შემინებულმა მოხუცმა.

ბება თავისავე მცხოვრებლების ულა-რიბესი ნაწილისა შემსუბუქოს იმ ბედნიერებით, რომელიც მოსდევს „კონკის“ შემოღებას ყველა მცხოვრებლებსთვის. ეს ბედნიერება მდგომარეობს იმაში, რომ „კონკის“ წყალობით ყველა მცხოვრებელს შეუძლიან ძალიან იაფად გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე.

ბილეთ, მაგალითად, პეტერბურგი ანუ მოსკოვი, სადაც ღარიბი კაცი სულ რაღაც 3 კაპეისის წყალობით ერთი საათის განმავლობაში მივა ასეთს ადგილზე, რომელიც ექვსი ვერსტის სიშორეზე იმყოფება. ასეთი სიიარაღის გამო, ღარიბს აღარ უნდება თითქმის მთელი დღის ქვეითი მოგზაურობა ასეთს სიშორეზე. ამიტომაც ურიგდება ქალაქი იმ უბედურებას, რომელიც ედებათ თავზე მეჭაეტონებსა, და სამაგიეროდ აძლევს შეღავათს ღარიბს მცხოვრებელს, რომ ამათ ადვილად იმოგზაუროს.

ჩვენს „კონკაზე“ დღემდის არ არის შემოღებული ორკლასიანი ვაგონი და საწყალიცა და მდიდარიც ერთნაირად აძლევენ გზაში თითო შაურს. უცვლელად საჭიროა, რომ ქალაქის საბჭომ გაამართინოს „კონკის“ პატრონს ორკლასიანი ვაგონები.

ზარდა ამისა, საჭიროა, რომ შემოღებულ იქნას რაიმე წესი შესახებ ბავშვების მოგზაურობისა. მრი თვის ბავშვი რომ გვექროს მკლავზე, იმა-

— მოსატყუარი რა მაქვს. მე შენთვის ტყუილი არას დროს არ მიტყუამს. არილ მე ოდესმე... ძლიერ მიყვარდა. ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ის მყვარებია...

— მნლა? კიდევ გიყვარს? — ჰკითხა ხრინწიანის ხმით ბედკრულმა მოხუცმა. — თასო ცდილობდა გავლიმა, მაგრამ ღიმილის მაგიერ დაიღრიჯა. მის თვალებში მწუხარება იხატებოდა.

— მერე შენ რა? ხომ არ იჭენეულობ? როგორ გითხრა, რომ მართალს ჰგვანდეს, არ ვიცი, ღმერთმა-ნი! მიყვარს კიდევ. ჩემს გულში ბრძოლა არის ამ ორ გრძობათა შორის. არეფერს არ დავზოგამდი მის დასატანჯავად, — წარმოსთქვა მან ლატაცებით.

— ბაფთხილი, თასო, არ დაიწევა; ნახავ, თუ არა, ვერ გაბედავ შურისძიებას, დაუნანდება.

— მერე რა? პირველი ხომ არ იქნება ჩემი დაწევა. სულ ერთია: გუშინ საღამოს აქეთ, იმ წამითვან, რაც შენ მიხსენე მისი სახელი, იგი ჩემს თვალებს არ შორდება. მიყვარს იგი, მაგრამ იმას კი არ ვაგრძობობინებ. მთუ ვერ გაეუძებლ ამ დაუარულ სიყვარულს, ისევ «თავს მოვიკლამ» და იმას კი არ ვაგრძობობინებ.

— რას ამბობ? ღმერთო! შენ მიშველე! როგორ თუ «თავს მოვიკლამ»? მე რაღა მეშველება?

— შენ როგორც წინად სცხოვრობდი უჩემოდ, ისევ ისე იცხოვრებ, უზასუნა და მშვიდებით თასომ...

— მე შესაძლებელი არ არის! მე შენ შეგეჩვიე... შეგეჩვიე, ჩემო თასოჯანი!

შიაც შაურს გამოგართმევენ. აუცილებელ მოთხოვნებს შეადგენს, რომ ყმაწვილზე არას იღებდენ, ვიდრე ექვსი წლის ასაკამდის და მხოლოდ ათს წლამდის იხდიდენ 3/5 გადასახადისას, რომელიც ეხლა ერთმევათ მოზრდილს ხალხს.

აგრეთვე სხვა წესებიც უნდა შეიმუშაოს ქალაქის საბჭომ და გააგებინოს იგინი მცხოვრებლებს, თორემ „კონკა“ თავის დანიშნულებას ვერ აღასრულებს და მოტანილ უბედურებას შესახებ მეჭაეტონებისა ვერაფრით ვერ გადაუხდის ქალაქსა.

«მწყემსისაგან» «კეშმარიტების ალღინებისა გამო».*

«მწყემსის» რედაქციას «კეშმარიტების ალღინების» საღერღელი აშლია. ძალიან კარგი!... ჩვენ ჩვენის მხრით შემწეობას გაუწევთ, რომ ნამდვილი კეშმარიტება ალღინოს და არა მისგანვე გამოგონილი. ღღეს ორი ნიმუში გვაქვს და შემდეგისათვის დღევრდელი ბანდებოდეს და სიძუნწეს არ შევიმჩნევთ...

პირველი კეშმარიტება, ანუ ჭაქტი. ჩვენს გაზეთში პატარა შენიშვნა იყო იმის შესახებ, რომ მღვდლები მთავრობის განკარგულებით უნდა სთხოვ-

*) ეს წერილი სხვა-და-სხვა მისეხების გამო გვიან იბეჭდება.

— რა ბავშვივით ლაპარაკობ, მასილ! — უთხრა შებრალებით თასომ. — ტირილს აპირობს! ცხვირი რას დაგიშვია, ჯერ ხომ არა გვედები. მერე რა, რომ მოგვედ, შენც თან წამომყევი, — დრო არ არის?

— არ მათვსებ, თასო! — მწუხარედ სთქვა მოხუცმა და დაბლა თავი ჩაპლუნა.

— თასო შეკრთა და გაყვითლდა. პირველად ესმოდა იმისაგან საყვედური, და ეს საყვედური მას ღრმად ჩასწვდა გულში.

— ტყუილია! — მხურვალედ სთქვა თასომ, — ტყუილია! მშობელი მამა არ მიყვარებია ისე, როგორც შენ მიყვარხარ. პარგად მესმის, რა სიკეთეც მიყავ, მასილ! მე უგრძობელი არა ვარ. არავესში არ გაგცელი შენ, ერთგულად და მორჩილად გემსახურები, არაფერს დაგიმაღავ. მე ვუყვარვარ ნებიერიძეს; უნდა ჩემზედ, კაცისმკვლელზედ, ჯვარისწერა; მაგრამ გუშინ მე მას უარი ვუთხარ.

ნემსაქემ ეს სიტყვები საყვედურად მიიღო, თუმცა თასოს ფიქრადაც არ მოსვლია საყვედურის თქმა; მასილს მოაგონდა, თუ როგორ ერიდებოდა თასოზედ ჯვარისწერას.

— მთუ მაგას მართალს ამბობ, თასო, მოდი ჯვარი დავიწეროთ, — სთქვა მოხუცმა მხვეწწარი და მორცხვის კილოთი.

— რისთვის? მე ხომ იმიტომ არ გითხარ. ჰაჭკვის ტარება არა მსურს და გვირგვინი ჩემის აზრით ჯაჭვი არის: არ შემშენის ქალბატონობა; ქალბატონები ყველანი განათლებულნი არიან,

დენ ხოლმე „ქორწინებასა შინა შემაღლთ“ სხვა-და-სხვა საბუთებსა, რომელითაც მარკები სჭირდება.

«მწყემსის» რედაქცია*) ვილაც იმერელის მღვდლის პირით აცხადებს, რომ «ღროება» სტყუისო. «კეშმარიტების ალღინებისათვის» ჩვენ ვებუდავთ შემდეგს საბუთს, რომელიც იმერელმა მღვდელმაც და განსაკუთრებით «მწყემსის» რედაქტორმა, ბლოლოჩინმა ღ. ლამბაშიძემაც კარგად უნდა იცოდენ. «ბამაოუქნადეთ სამღვდლოებას, რომ ამიერიდგან არ აღასრულებდენ ქორწინებათა მოუთხოვნელად საბუთებთა: თუ სასიძო და სასიძო არიან მათივე მრევლთაგანი, მოსთხოვენ მათ მათის მშობლების, აპყუნების, ანუ მხრუნველების ნებართვას ქორწინებისათვის, რომელს ნებართვაშიც უნდა იყოს აღნიშნული დაწვრილებით წოდება, ჩინი, სამსახური, სახელი, მამის სახელი და გვარი. მთუ სასიძო სახელმწიფო სამსახურში იმყოფება, მოსთხოვონ მისის მთავრობის ნებართვა, ხოლო სამსახურისგან გარდამდგაროთვან მოითხოვონ მათის სამსახურიდგან გარდადგომის შესახებ უქაზი და სალდათის ქვრივთაგან — მათის ქვრივობის მოწმობა; თუ მექორწინენი არ ეყუთენიან მათს სამრევლოს, მაშინ, გარდა ზემო აღნიშნულთა საბუთებთა, უნდა მოითხოვონ:

*) ისილე № 6.

მე კი ანბანიც არ ვიცი. შოგენის-შვილად დაებადებულვარ და გლენის-შვილადვე მოგვედები. მაღლობელი ვარ, რომ ტყვეობისაგან დამიხსენი. შვირგვინი ჩემთვის საჭირო არ არის.

— მე მოგვედები — ჩემს სიმდიდრეს შენ გიანდებებ; ლუკმაპური გექნება სიბერეში.

— მე სიბერემდი ვერ მივახწევ. მე არ ველი შენს სიკვდილს სიმდიდრის გულისათვის იმ იმედით, რომ შენის სიკვდილის შემდეგ ახალგაზდა საყვარელი გავიჩინო. მე კმაყოფილი ვარ ჩემის აწმუო ბედისა; მომავალზედ არ ვფიქრობ. ეს რა ხმაურობა არის? მგონი, ჩვენს კარებს არახუნებენ. იგი მივიდა ფანჯარასთან, გადაიხედა და თოფნაკრავივით უკან გადმოვიარდა.

— მასილ! მასილ!

— რა იყო? რა იყო, ჩემო სულო? — თასო! ჰა, თასოჯანი!

— თასოს აღარა ეყურებოდა რა და, როგორც ვიცი, დარბოდა. მათხში, მოისმა კარების გაღების ხმაურობა.

— თასო საჩქაროდ მივიარდა მასილს, წაველო მხარზედ ხელი და შეაგლო მეორე ოთახში.

— მანდ იჯექ, არ გამოხვიდე, ვიდრე არ დაგიძახო, — წარჩულჩულა თასომ, — მე მსურს... მარტოკა ვნახო.

«ღმერთო ჩემო, ეს რა მომდის? მთავალი მიზნელდება! მხ, რა რიგ მიცემს გული!»
იგი დადგა ფანჯარასთან და კარებს ზურგი შეაქცია; იგი კანკალებდა, თითქოს აციებოდა.
სტუმარი შემოვიდა და კარებში შედგა; იგიც ადვილებული იყო, მუხლთ ეკვეთებოდა.

მოწმობა მათის სამრევლო ეკლესიის გრეგულისა*), რომ იმნი ნამდვილ მათნი სამრევლონი არიან, უცლონი არიან, თუ ქვრივნი და თუ ქვრივნი არიან, რომლის ქორწინების შემდეგ, რომ გამოცხადება განზრახვისათვის მათისა შესვლად ქორწინებასა შინა ქმნილ არს (როდის სახელდობრ) მათს სამრევლო ეკლესიაში და რომ დაბრკოლება ქორწინებისათვის არა არის-რა; მასპოარტი, ანუ რწმუნება ადგილობითი პოლიცისა**) იმის შესახებ, თუ რომლის წოდებისა არის მექორწინე; გამოწერილობანი***) მეტრიჩესკის წიგნებიდგან შობასა და მონათელოსა ზედა და ანუ თვით მეტრიჩესკის მოწმობა.

ჩვენ მეტი არა გვითქვამს-რა და რა კეშმარიტება უნდა ალღინოს ბლოლოჩინმა ღ. ლამბაშიძემ, არ გვემის!...****)

**) მოწმობაზედ უნდა დააქრან სამაზიანი მარკა.

****) სოფლის პოლიცია, როგორც მოგვესახებათ, არის მამსახლისი, რომელიც უფეშქაშოა, წასაკვარკვლია, აწას მოგვემს.

****) მეტრიჩესკის აღმწერილობას სამაზიანი მარკა უნდა ექნებდეს დაკრული.

*) ჩვენ რაღა ვამბობთ, რომ ამ საბუთების მოთხოვნა ვისიმე გამოგონილი იყოს. ანა; ეს არის მოთხოვნისა კანონისა (26 მუსხა X ტომ. I ნაწილი); მაგრამ ამით ხომ სასიძო-სასიძოლს ანა უმსუბუქდება-რა!...

— შეიძლება ნახვა... მასილ ნემსადისა? ძლიერს გამოთქვა მან.

— თასომ მიიხედა, მას მსურდა მიეღო იგი ცივად. ზრდილობიანად, იმ სახით, თითქოს ვერც კი იცნო. მაგრამ, როდესაც გაიგონა მისი ხმა, დაინახა მისი გამხდარი, გაყვითლებული და ადვილებული სახე, მკედარ გულში გაეღვიძა უწინდელი სიყვარული, ვეღარ გაუძლო მის ძალას, დაეცა არჩილის წინ და მხურვალედ მოეხვია მუხლებზედ.

— მომიტევე... მომიტევე, მთუ დამწყველი! იმბობდა გაგიყვებით თასო, მოხიბლული მისი მშვიდი სახით და ტკბილი ხმით.

— არჩილ წაბარბაცდა და დაეშვა სკამზედ.

— მოგიტევე?... არ დაგწყველო? რა საჭიროა მაგაზედ ლაპარაკი, ჩემო ძვირფასო?

— თასომ თავი მაღლა აიღო და უცებ წამოხტა.

— რა საჭიროა? — კითხაულობს კიდევ, რა საჭიროა! მანა... მანა... მანა მან... არ იცის? — როგორც ელდა, გაუარა თასოს თავში.

— არჩილმა წაველო ხელი, მიიზიდა ახლოდა გვერდით მოისევა. თასო ცდილობდა, არ შეეხებინა მისთვის; ცრემლები გაუშრა, ლოყები აწმთო და გული საშინლად უცემდა.

— რად უნდა დაგწყველო? — ჰკითხა გამეორებით არჩილმა. — იმიტომ რომ ცდილობდი გაუპატუროებისაგან დაგვეხნა თავი? იმიტომ რომ პატრონება შენ ყველაზედ მაღლა დააყენე? შენ არაფერი ბრალი არა გექვს, ჩემო



მეორე ჭეშმარიტება, ანუ ქაქტი. ღიღი ხანია, რაც ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი წერილობითი საბუთი და წამლის რომ არ დაბეჭდეთ, გამოტყვილს მოგახსენებთ, ძალიან დაეხვეწეთ, რადგან ეს საბუთი მოსაზრება იმ პოლიტიკას, რომელიც ასტულა «შრომასა» და მოსალოდნელს «მწყემსს» შორის და საზოგადოებასაც გამოიყვანდა გაუგებლობისაგან. არც ახლა დავბეჭდავდით, მაგრამ აბა რა ვაწაწოთ, რომ «მწყემსს» ასე დაქინებით სურს ჭეშმარიტების აღდგინება. შერთი ეს და მეორეც ის, რომ ხომ გაგიგონათ ახამბარელი თათარი ვიქის თავს მეცილებოდა!... ისე ჩავცვივებია «მწყემსიც» — გინდა, თუ არ გინდა, ჭეშმარიტება აღადგინეთ!... აი შენი ჭეშმარიტება! მოისმინეთ!...

«მინც დაახლოებით იცნობს ქართველის ხალხისა და იმის მწყემსთა ხნობითსა და გონებითს მდგომარეობას, ვინც ყურადღებით ადევნებს თვალს საერო მწერლობას (печать), რომელიც სხვათა შორის აერცვლებს ხალხში სრულიად უკულმართს (превратный) ცნობას ეკლესიაზე და მის მსახურებზე, ვინც გულდასმით ადევნებს თვალს ლვარძლის უხვს აღმოცენებას ქრისტეს ყანაში, როდესაც სრულიად არ არის წინააღმდეგობა კეთილის თესლის მთესველების მხრით, იგი, ეჭვი არ

ძვირფასო! ის უცხო იყო ჩემთვის; შენის მიხედვით შე მას ვეჯავრებოდი; მე მან, თავის გარყვნილობის გამო, ლატაკად გამიშვა ამ წუთი-სოფელში. ბანა ის მშობელი იყო? ღიღ-ძალი ვალი დარჩა მას და ჩვენი მამული იმის სიკვდილის შემდეგ სულ მათ ხელში გადავიდა. ღიღა ჩემმა აღდენ უბედურებას ვეღარ გაუძლო და მალე გარდაიცვალა. ბევრი ტანჯვა და უბედურება გამოცადა ჩვენის სიყვარულის გამო, ტასოჯან, მაგრამ.. მაგრამ ვერაფრის დავმდებარებ. დაგწყველო შენ? რაღა? მხოლოდ იმიტომ, რომ დამივიწყე მე და გათხოვიდი? ტასო შეკრთა.

— როგორ თუ «გავთხოვიდი»? მწარედ სთქვა მან. — ჩემის ნებთ ხომ არ გავთხოვილიყარ, ძალიან შემიყვანეს საყდარში, ხელემ-შეკრული... — მე პირველ გათხოვებაზედ არ გეუბნები, — მეკრთომით გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა, — მე მასილ ნემსაქვდ გელაპარაკებ. მაგრამ მაგაზედაც ვერ გისაყვედურებ... რადგან მეც ხომ ცოლი შევირთეთ... მაშასადამე, ქვითნი ვყოფილვართ. — ჩემს მეორე «გავთხოვების» გარემოებას ეხლავე ვამბობ: მე რომ გამოვიქცე თქვენი სახლიდან, მე მინდა სიკვდილით დასჯისა, ახალგაზდა ვიყავ, ძვირად მიღირდა სიცოცხლე, რადგან მიყვარდი და იმედი მქონდა, რომ ოდესმე ბედნიერად შევიყრებოდი. ბამოვიქცე, მაგრამ სად მივდიოდი, მე თითონ არ ვიცოდი, ვიზბინე ტყეში უგზო-უყვლოდ იქამდინ, ვიდრე მშვირ-მწუხრავალი და დალალული არ წავიქცი

არის, სიგულ-გრილად ვერ დაუწყებს ცეკვას ყოველ ამას იყო დრო, როდესაც ქართველი ხალხი, სამღვდლოებასთან ერთად, ებრძოდა ქრისტეს სარწმუნოების საშინელ მტრებს. შითქმის არ მოაოცება იმისთანა ნაგლეჯი მიწა საქართველოში, რომელიც არ იყოს მორწყული ქრისტიანების სისხლით, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოება ამისთანა დევნულებაშია და შთაუენებული ამგვარის საშინელის გარეგანის მტრებისაგან. მაგრამ ეხლა სურათი შეიცვალა: აღმოჩნენ შინაური მტრები, რომელთაც ხელში კალამი უჭირავთ. აი ეს მტრები ყველაზედ უფრო საშიში არიან და მოქმედებენ უმეტესად, ვიდრე მოქმედებდნენ თათრები და სპარსები მახვილითა (Итаганами) და ცეცხლით. მიეცეს თავისუფლება მთესველებს სთესონ უკეთური თესლი ქრისტეს ეკლესიის ყანაში, ჩემის ფიქრით, შევადგენს მძიმე ცოდვას ყველა ჭეშმარიტის მორწმუნე ქრისტიანესათვის, რომელსაც კი შეუძლია წინააღმდეგობა აღმოუჩინოს მათ საქართველოში გამოიქცემის რამოდენიმე გაზეთი და ჟურნალი, რომლებშია მართლ-მადიდებელი ერი ყველა პირობებს სულიერს საზრდოს, ხშირად ამ გაზეთებსა და ჟურნალებში იგი კითხულობს არა სასიამოვნოსა და სამწუხარო მსჯელობას მისს მწყემსებსა და ეკლესიის მსახურთა შესებ. და სხ. და სხ...»

გულ-მწუხრებელი. ბოძნედ რომ მოველ, ვნახე ერთ ცხენიან კაცს ხელში ვყვანიდი. მე ვიფიქრე, სწორედ ქალბატონს გამოუგზავნია ჩემს დასაჭერად მეთქი და ვუთხარი: «თუ ქრისტიანი ხარ, იქ ნუ წამიყვან, აქვე მომიკალ». — «ნუ გეშინან, შეილოო, მე ჩემს ცოლ-შვილში წავიყვან და ისე მოვივლი, როგორც ჩემს შვილსაო». — «მრი თუ ხამი დღე მატარა და ბოლოს მიმიყვანა ერთ დიდ ქალაქში, სადაც სულ სხვა ენაზედ ლაპარაკობდნ და სხვა ტანისამოსი ეცვათ. მე ვკითხე ჩემს ბატონს: — ეს რა ქალაქია მეთქი. მან მიპასუხა, ეს დიდი სტამბოლის ქალაქიაო. — აქა დგებარ ცოლ-შვილით. — ვკითხე მე. მან მითხრა, მე ცოლ-შვილი ვინ მომცა? ბატონს მოურავი გაულახე და ყანაღად გავეარდი. მხლა იცი ჩემი ხელოვა რაც არის? შენისთანა ლამაზს ქალებს ვიტაცებ და აქ დიდ-კაცებზედ ვყიდიო. ამ სიტყვებზედ ელდა მეცა და ეელოდი იმ სანეტარო ჟამს, რომ თავი მომეკლა, მაგრამ აღარ დამცოლდა. მან წამიყვანა ერთ კატან, ოსმალთან, და ჩამაბარა მას. ამ ოსმალმა შემიყვანა ერთს ოთახში, სადაც ოც ქალამდინ იყვნენ თავ-მოკრილნი. შითქმის ყველა სჯულია იყო. სხვათა შორის, ერთი მეგრელის ქალიც ვიხი, რომლისაგანაც ვაგივე, რომ ხვალ წავიყვანენ ამ ქალაქის მოედანზედ და დაგყიდიან, როგორც პირუტყვს, საქანელს. — მეგონო იყო. — მეორე დღეს გავიყვანეს მოედანზე. აქ შეგებდა მასილ, რომელმაც დამიხსნა და მომიყვანა ჩვენს ქვეყანა-

«მწყემსის» რედაქციას! გეცნობათ, თუ არა ეს დოკუმენტი? ვის კალამს ვკუთვნის იგი? რას იფიქრებს ამის წამკითხველი, რომელსაც შეძლება არა აქვს გაიგოს ქართული ჟურნალ-გაზეთობა?.. ბანა არ იფიქრებს, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა სდევნის ეკლესიას, ქრისტეს სარწმუნოებას და სთესავს ხალხში უკეთურს თესლს, ე. ი. ურწმუნოებას, უღვთოებას?.. ამის დამწერი უნდის ცილსა სწამებს, თუ არა ჩვენს მწერლობას, როდესაც იგი გამოჰყავს ეკლესიას და სარწმუნოების წინააღმდეგად?.. მინ არიან ეს შინაური მტრები, რომელნიც კლამებით შეიარაღებულან და ებრძვიან ქრისტეს სარწმუნოებას?.. ჩვენ ამ დოკუმენტს კომენტარიებს არ ვუშვრებით, იმის ხახიით და მიმართულებას ისე ცხადია, რომ მკითხველი თვითონაც კარგად მიხვდება!... აი, «მწყემსის» რედაქციას, სწორედ ამ დოკუმენტის გამო სახელგადა «შრომამა» ცილის-მწამებელი და მახეზა-რა!... ჩვენ აქ არას ვამბობთ «მწყემსის» პასუხად ვიღაც ბოსლეველსა და მანელსზედ; ჩვენ არ ვიციით ამ ფსევდონიმებს ვინ ეფარებოდა, — ამის გამოცნობა და დაბეზლება, ვისთანაც ჯერ არს, მივიჩნევია იმავე «მწყემსისათვის». ჩვენ მხოლოდ ის ვიციით, რომ ვიღაც ბოსლეველი კრიტიკულს შენიშვნებს სწერდა «შრომში» და ამ

ში. — შენ სიყვარულით შეირთე ცოლი, თუ არა? — ვკითხა ბოლოს ტასომ არჩილს. — ღიბ... მე ვერე ვფიქრობდი, რომ სიყვარულის გამო მოხდა ჩვენი ქორწინება. როდესაც სტუდენტი ვიყავი, მე მას გაკეთილებს ვაძლევდი; შეგუყვარდი და მეც ვამიტაცა მისმა სიყვარულმა. მხლა, როდესაც შენ გნახე, დაგწმუნდი, რომ ის სიყვარული კი არა, მხოლოდ სისხლის აღვლეება ყოფილა. შენ და გითხრა, ჩემი ცოლი კარგი დედა-კაცი არის, მხოლოდ ცოტა განებიერებულია და უფლება უყვარს. არის დიდ-კაცის შვილი. იმისი მამა, როდესაც ჩვენი ბატონის შვილები ვადასახლებულან, თან წაჰყოლია მათ და აქამდინ სულ იქა ცხოვრობს. იმის მამამ მიშინა მე სამსახური. მამი-ჩემის სიკვდილის შემდეგ იმანვე მომცა ბინა, ასე რომ, სწორედ ვსთქვა მოვალე ვიყავ, სიკეთე ვადამეხადა რითიმე... ტასომ ერთი საშინლად განიხარხარა, წამოხტა და ეცა მეორე კუთხეს ოთახისას. — სიკეთე გარდავხდა! ვაჯავრება ტასომ, — ხა! ხა! ხა! რა გულ-ველილი ბიძნებულობართ! სწორე სთქვათ! თქვენ ცოლი ანგარიშით შეგიერთათ, სიღარიბემ შეგაშინათ; მუშაობას ჩვეული არ იყავით. მხლა სწავლულები გამოავლდნ, რამდენიმე წელიწადი დადიან, სამსახურს ვერ მოვლენ; თქვენც ამისთანა დღე ვადადგებოდათ. აი რისთვის ცდილობართ ცოლის შეკრავს. იქნება თქვენს

გაზეთის შეჩერებისათვის, მწყემსობა წერა. ახლა სად ახმა — უსაქმიანდებ ხეტილება, თუ სადმე შემოსავლიანი ადგილი იშოვნა და მიიძინა, ჩვენ არ ვიციით და, მართალი უნდა მოგახსენოთ, არც ვეძებთ რაც შეეხება ბ. «გარეშე მაყურებელს»; ვიტყვი, რომ «მწყემსის» რედაქციას, ლიტონის სიტყვების სროლისა და ლანძღვის მაგიერად, საბუთები უნდა მოეყვანა მისის წერილების გასამტყუნებლად... მაგრამ აბა რა საბუთებს მოეყვანდა, როდესაც არაფერი ჰქონდა!...

საქართველი

(«ჩველიყოთ საჯგენტოსა»)

20 აპრილს.

სამართველო ცნობა:

კმტმბრშრბი 20-ს აპრილს. ჩვენის

დრო გამოშვებითი მწერლობას სოკო-ერთა გამოცემით მძიმე ზასუსან გება მიუძღვასთ იმ გარემოებათაგან, რომლებიც ესრედ აღიწებენ საზოგადოებას უკანასკნელ წელთა განმავლობაში; მწერლობასთვის მანიჭებულ თავისუფლებით ასინი სატკებლობდენ მსოფლად იმისათვის, რომ ექადაგნათ სასკლამიფო და საზოგადო წუგობაფების მოწინააღმდეგე თქორეობა; რაგონც ცნობილ წინ ამ ცოლის ეხლაც სიკეთის გარდასახდელად ატყუებდეთ? იცის თქვენმა ცოლმა; რომ თქვენ აქ ჩემთან მოხვედით ხომ არ ეტყვი, რომ უწინდელი საყვარელი ნახეთ, შკოტნეთ, ვარშიყეთ? თქვენ, თქვენ, ყმაწვილნო კაცნო სულ, ერთად რომ მოგროვდეთ ჩემს მასილად არა ღირხართ! მასილ! — ტასო მივარდა კარებს და დაიკვირა, — მოდი აქ, ეხლა შენ გართე სტუდარი, მე კი წავალ და საუხმეს მოვიზადებთ და ტანთ გამოვიცვლი.

ტასომ შეხედა არჩილს და განიხრა, რადგან იგი ცოცხალ-მკვდარი იყო. — მაიცინეთ... მოვა დრო და ჩვენც ვავიციებთ, — კრუდწარმოსთქვა არჩილმა. ამ დროს კარები გაიღო და მასილ ნემსაქე შემოვიდა, ტასო, როგორც ისარი, გამოვარდა ოთახიდან და ნახევარ საათის შემდეგ ისევე შემოვიდა გლეხის გასათხოვარი ქალის ტანისამოსში ჩაცმული, სწორედ ესე ეცვა ტასოს უკანასკნელად ტყეში რომ შეხედა არჩილს.

— მობძანდით, დანაყრდით, — ალერსიანად სთხოვა ტასომ, — მე თქვენ ერთ-ვერცხი მოვიწვით და სოკო მოვიხარშეთ. ბატონო არჩილ! მახსოვს, თქვენ ვიყვარდით ეს საქმელები.

იქნება მართლაც უყვარდა მას, მაგრამ ეხლა ხელი არ ახლოა. იჯდა გმეშუელი და მწუხარებით სავსე თვალს არ აშორებდა ტასოს. იმის მწუხარე და ცაური თვალები ისე მშვენიერნი იყვნენ, რომ ტასომ მზიარულემა სრულად დაჰკარგა; წაღვლიანად ჩაფიქრდა და რაღაც უცნაურმა კანკალმა აიტანა იგი. დამშვიდებული იყო მხოლოდ მასილ ნემსაქე; იჯდა და პურს მიირთმევდა, თუმცა იმასაც კი ეტყობოდა მწუხარება.

(შემდეგი იქნება)



ნორსთა გონებათადმი მიმართულს ქაღალტს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ასე იყო აქამომდე და, სამწუხაროდ, ახლაც საქმე ამ მდგომარეობაშია; ახლაც ზოგიერთს უყურნალო და გაზეთთა ფურცლებს ეტყობათ ის მიმართულება, რომელმაც დაზადა აღურიცხველი გნება და რომლის კავშირით ფარულ გამოცემებში განმარტებულს აღკრძალულ სწავლასთან უკავშირდებიან. უგანსსგნელს დროს რადესაც გამოიკვლიეს მოქმედება საიდუმლო საზოგადოებისა, რომელიც არსებობს 1879 წლიდან დაწყებული, ის ქაჭტები აღმოჩნდნენ, რომელნიც სემონათქვამს ამტკიცებენ. ერთმა დიდმა პოლიტიკურ დამნაშავეთაგანმა, განმარტა-სსენებელი საიდუმლო საზოგადოების მოქმედება და სთქვა: «იმ დროის ლიტერატურა ბევრად დასმარა რეკლამული-რანური მიმართულების გამოკვლევას ჩვენში. წერილები, რომელნიც ზოგიერთს რადიკალური მიმართულების უყურნალებში იბეჭდებოდნენ, პირ-და-პირ ჩვენს დასის სასარგებლოდ ქადაგებდნენ; ერთმა ამ შესანიშნავ წერილთაგანმა; რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მი-იქცია, ხელ-მოწერილი იყო ასაკებითა».

II. K. (ა. კ.)-ის ასაკები დაწყების ლიტერატურული ფსევდონიმის პირველი ასაკებია. საზოგადოდ ის პირნი, რომელნიც პრეპარატს მისდევდნენ, თავის აზრების გასარტყელად ნება-დართულ პერიოდულ გამოცემებში სწორდნენ წერილებს, რომელნიც ანამტუ დედა-აზრით, ანამტუ კიდრითი კი ძლიერ ჩამოგანდნენ აგრძალულ გამოცემების წერილებს; აქედან სჩანს, რომ ნება-დართულ გამოცემათა თანამშრომელი ანამტუ მარტო ლიტერატურაში მოქმედებენ ესწრაფვი წყობალების წინააღმდეგ, ანამტუ რეკლამული-რანურ საქმეშიც მონაწილეობას იღებენ. ყოველივე ესე მტკიცდება ნამდვილი საბუთებით. გამოძიებამ აღმოჩინა, რომ სეკრეტარი ერთის პერიოდული გამოცემისა იყო შუამავლად რეკლამული-რანური დასასა, რომელიც პეტრბურგში არსებობდა, და მის თანამოსარტო-მარტის პრეპარატში და სამხლავრ-გარტად. ცნობილია აგრეთვე, რომ ერთი სხვა გამოცემის თანამშრომელს უგზავნიდნენ წერილებს საიდუმლო გამოცემებში დასაბეჭდად. ამას გარდა, იმავე წყაროებიდან იცინა, რომ უყურნალო «Отечественныя записки»-ს რედაქციაში იკრებებოდნენ ის პირნი, რომელთაც დასალოკებული კავშირი ქონდათ რეკლამული-რანურს საზოგადოებასთან. ჭკრ მარტანვე ერთი აღნიშნული უყურნალოს რედაქციის წევრთაგანი გაიგზავნა დედა-ქალაქიდან ამაღლებული სიტუციის წარმოთქმისთვის; ამ სიტუციით იმან მიმართა უმადეს სასწავლებელთა მოსწავლეებს, რომელთაც იწვევდა კანონიერის მთავრობის საწინააღმდეგოდ. ამას გარდა, გამოძიებამ აღმოჩინა, რომ ამ უყურნალოს ერთი განუყოფილების ხელ-მძღვანელი ერთ რეკლამული-რანურს საქმეში, ვიდრემდის დატუსალებდნენ. ამ დღეებშიც კიდევ დატუსადა პოლიციამ რჩი თან-

სამშრომელი ამ უყურნალოს, რადგანაც დამტკიცდა, რომ ივინი ესმარტოდენ ბარტ-განმარტსველთ. გასაკვირველი არაა, რომ თვით პასუსის მკებელი რედაქტორის წერილებიც, რომელნიც უყურნალოში ვერ იბეჭდებოდნენ, გამოდიოდნენ საიდუმლო გამოცემებში და იმ რკანებაში, რომელთაც ემიგრანტები სტემენ. ვისაც კი თვალი უდევნება «რტეხესტ. ზანისკის» მიმართულებისთვის, რომელმაც დიდად აამდვირა საზოგადოების რამოდენიმე წერილი, ცხადად დაინახა, რომ ამ უყურნალოს იყვნენ მოკვლეული მრავალი ბარტ-მარტსველნი პირნი. მიუსდევდა მისა, რომ დამნაშავე პირნი პასუსის გებაში უნდა მიეცნენ, მმართველობას აუცილებლად მიანხნა მოსპოს ისეთი ბეჭდვითი რკანა, რომელსაც ანამტუ თავის ფურცლები დაუთმავ მანვე იდგათ გასარტყელად, ანამტუ მას ჭყვს უმხლავლებს თანამშრომლებლად ისეთი პირები, რომლებიც იდუმალ საზოგადოებათა წევრები არიან. ყველამ ამ მოსაზრებათა გამო შინაგან საქმეთა, განათლებისა და იუსტიციის მინისტრთა და რტე-პროკურორის რჩევამ უმადესად დამტკიცებული 27 აგვისტოს 1882 წ. დრო-გამოშვებითი გამოცემებზე მინისტრთა დებულების საფუძვლის ძალით დაადგინა: სრულიად მოსპობილ იქმნას «რტეხესტ. ზანისკის» გამოცემა.

მოსკოვი. რუსის საგარტო ნავოსნობის საზოგადოების სხდომაზე 19 აპრილს დაამტკიცეს მოხსენება წარსადგენად წინაშე მინისტრთა: თინანსისა, გზათა და შინაგან საქმეთა. მოხსენება შედგენილია იმის თაობაზე, რომ საჭიროებაა დაუყოვნებლად შესცვალონ აწინდელი კანონ-დებულებანი ზღვისა და მდინარეთა საგარტო ნავოსნობისა, რათა საკუთრად რუსეთის ქვეშევრდომებს ჰქონდესთ უფლება კაბოტაჟერს (სანაპირო) ნავოსნობაზე, უცხო ქვეყნელებს ადერძალოთ ეს ხელობა და სუბსიდები მიეცეს გემთა-მკეთებლებს და სხ.

პარიზი. აბისინიის მეფის სანახავად გამგზავრებულმა ადმირალმა გიუეტმა უგანვე დააბრუნა თავისი ამაღლა, რომელსაც შეადგენენ 300 ბამბი-ბურუყები, რადგანაც მეფემ საზღვრის გადასვლის ნება არ მისცა ამაღლას.

პარიზი. ჩინეთის ელჩი მარკიზ ძენგი დღეს მიღებულ იქმნა ეთელფერისაგან გამოსამშვიდებელს აუდენციაში.

განცხადებანი

საქართველო-იმერეთის სომეხთ გრიგოლიანთ ეპარქიის კონსისტორიაში დანიშნულია ვაჭრობა ამ წლის 27 აპრილს (ვაჭრობის

გაუმეორებლად) ერმიადინის მონასტრის (ბადის საიჯაროდ გაცემისა. ამ დროს იქნებოდა მისი. ბაღი იმყოფება თბილისის 1-ს ნაწილში. (3-2)

ზაღახვალური კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა სააღმალ-აგულო ბანკი აცნობებს ბ. წევრთ-დამფუძნელებთ და მსესხებელთა, რომ 1884 წლის 6 მაისსათვის არწრუნის შენობაში დანიშნულია საზოგადო ყრილობა, რომელზედაც ბ. წევრთ მოხსენდებათ გასასინჯად და დასამტკიცებლად დადგენილობანი შესახებ შემდეგი საგნებისა:

- 1) მოხსენდებათ ანგრიში შესახებ ბანკის მოქმედებისა საანგარიშო 1883 წელს.
- 2) შრილობამ უნდა უჩვენოს ის საზოგადოდ სასარგებლო საქროებნი, რომელთაც უნდა მოხმარდეს საანგარიშო 1883 წლის შემოსავლიდან გადაღებული 22,426 მანათი და 19 კოპ.
- 3) მოხსენდებათ სმეტა ბანკის მართველობისათვის 1884 წლისათვის საქრო ვასავლისა.
- 4) უნდა გაინჯოს მოხსენება სარევიზიო კომისიისა. ეს კომისია ამორჩეულია დადგენილობისამებრ თბი-

ლისის თავად-აზნაურთა სააღმალ-აგულო ბანკის დამფუძნელებს წევრთა ჩვეულებრივი ყრილობისა, რომელიც მოხდა 1883 წლის 1 და 3 მაისს. ამ კომისიას უნდა განეჩილა მთელი საქმის წარმოება, ყველა ანგარიშები და რავერაციის მსვლელობა ბანკის მისი რვა წლის არსებობის დროს, და კიდევ სხვა საგნები, ჩამოთვლილნი ხსენებული საზოგადო ყრილობის დადგენილობებში.

5) უნდა ამორჩიონ შეიდი წევრი ზედამხედველი კომიტეტისა ნაცვლად: თ. ი. ა. ანდრონიკოვისა, თ. ზ. ი. თარხანოვისა, თ. ზ. მ. თუმანოვისა, ლ. ა. მალალოვისა, თ. დ. ზ. ბარათოვისა, თ. რ. შ. მრისთავისა და დ. ზ. შიფთანისა, რომლებიც გადაიან თავიანთ თხოვნისამებრ.

6) უნდა ამორჩიონ გამგებობის ერთი წევრი ნაცვლად თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილისა, რომელიც ვადის რიგისამებრ, და კიდევ ორი წევრი დამფასებელი კომისიისა ნაცვლად: თ. ბ. ი. რატიშვილისა და თ. რ. ა. ჩოლაყაშვილისა, რომელნიც გადაიან უნდა ამორჩიონ ეგრეთვე მათი კანდიდატებიც.

თავჯდომარე ზედამხედველი კომიტეტისა თ. ი. ანდრონიკოვი. (6-4)

ინგლისის მალაზიასში თმის-ამომქვანი მავ-მასტერი

ამკრებს თმის და ადრინდელ ფურს ამლეკს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გავზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100-21)



აქვე ისუიდება ქინის პომადა თმების გასამავრებად. ფასი 1 მან., სწოტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საშა-ნი, ღუხები და სხვ.

გაზანდა	ჩინის ზვა
ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-ლა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.	თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
გამომცხვარა პურა რუ-სეთის ფქვილისა — 1 გ. 5 პ. აჭურის ფქვილისა: პირ-ველის ხარისხისა — 1 გ. 3 პ. მეორისა — 1 გ. 2 1/2 პ.	თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წამ.) ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით. ფოთიდან ბათუმიდამ მოძავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. დამით.
იმავე ფქვილ. თორწუში გამომცხვარი: პირველი ხარისხისა — 1 გ. 5 პ. მეორისა — 1 გ. 5 1/2 პ. მესამისა — 1 გ. 3 პ.	მარტო ხაშურიდამ მოძავალი თბილისში შემოდის 8 საათზე დილით ბაქოდამ მოძავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (პარსეკეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)
ჭყარის-მამი პურა: პირველი ხარის. ლავაში 1 გ. 5 პ. მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 4 პ. მესამისა — 1 გ. 3 1/2 პ.	
ძროხის ხორცია: პირველის ხარისხისა — 1 გ. 9 პ. მეორისა — 1 გ. 8 პ. სუჭი — 1 გ. 16 პ. ცხვრის ხორცია — 1 გ. 11 პ. ღორის ხორცია: პირველის ხარისხისა — 1 გ. — პ. მეორისა — 1 გ. — პ.	